ნეტავ, რას ფიქრობენ ჩვენი მოსწავლეები?

რამდენიმე აქტივობა მათ უკეთ გასაცნობად და წარმოსახვის განვითარებისთვის.

ხანდახან საჭიროა გვერდზე გადავდოთ გაწერილი გეგმები და კურიკულუმები, და ბავშვებს უბრალოდ ვკითხოთ: რა ხდება თქვენს გონებაში? როგორ ხართ? რას ხედავთ? რა გგონიათ?

განსაკუთრებით დაწყებით კლასებში სწორად დასმული კითხვები ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვებს ამ ასაკში უყვართ ხატვა და მათი წარმოსახვა ჯერ კიდევ შეუზღუდავია ათასგვარი სტერეოტიპითა და წარმოდგენით, ისინი თავისუფლები არიან და სწორედ იმას ხატავენ ან იმას წერენ რაც ნამდვილად მათია, რასაც ნამდვილად ფიქრობენ და რასაც ნამდვილად განიცდიან.

ნებისმიერი საგნის მასწავლებელი უნდა ინტერესდებოდეს რომ მათ მოსწავლეებს წარმოსახვა და ფანტაზია განუვითარდეთ, ყოველგვარი გამოგონებისა და საოცარი იდეის წინაპირობა ფანტაზიაა, თან დაწყებით ასაკში, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეგვიძლია გავააქტიუროთ ბავშვების წარმოსახვა, მათ მხოლოდ ერთი პატარა ბიძგი სჭირდებათ, ერთი პატარა წახალისება და ბავშვის სამყარო კოსმოსივით ვრცლად გადაიშლება, სადაც უმარავი რამის აღმოჩენას და ჩაჭიდებას შეძლებს კარგი მასწავლებელი.

სულ ვფიქრობ, რა რთულია ბავშვებთან მუშაობა, რამდენი რამის გათვალისწინება და გააზრება გჭირდება რომ ჰარმონიული, კარგი პიროვნების ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი. ყველანაირი შიში, კომპლექსი, სიძულვილი ხომ ძირითადად ბავშვობიდან მოდის.

ამ წერილში გიზიარებთ რამდენიმე საინტერესო რესურს, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ რაზე ფიქრობენ ჩვენი მოსწავლეები, რას ხედავენ, როგორ გრძნობენ თავს და რას წარმოიდგენენ ხოლმე. ეს ინფორმაცია კი ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობების დაგეგმვის წინაპირობაცაა.

მოდი დავიწყოთ.

რას დახატავდი შენი კორპუსის კედელზე? რას დახატავდი შენი სკოლის კედელზე? შექმენი შენი „სტრიტ არტის“ მინი მოდელი. ამასობაში კი შეგვიძლია ბავშვებს მივაწოდოთ ქუჩის მხატვრობაზე ინფორმაცია, ვისაუბროთ ამ მხატვრობის მნიშვნელობაზე, რომ ზოგიერთი ქუჩის მხატვარი ამით საკუთარ თავს გამოხატავს, ან პროტესტს რაიმე თემის შესახებ.

რამდენიმე ძალიან საინტერესო რესურს გთავაზობთ ქუჩის მხატვრობაზე, ასევე ქართველ ქუჩის მხატვრებზე და განსაკუთრებით ჩემთვის ძალიან საყვარელ არტისტზე, გაგოშაზე:

ქუჩის მხატვრობა

ქუჩის ხელოვნება საქართველოში

გაგოშა



You have been asked to decorate the wall of this big building with a beautiful mural.

უთხარი რაიმე განსაკუთრებული და მშვენიერი სამყაროს. ბავშვები ამ დავალებით დაფიქრდებიან რა არის მშვენიერი სიტყვები, მოიძიებენ ამ სიტყვებს საკუთარ გონებაში და

საბოლოოდ დაიმახსოვრებენ კიდეც, ამის შემდეგ კი ერთმანეთს გაუზიარებენ იდეებს, საბოლოოდ კლასში ფანტასტიური განწყობა შეიქმნება.



SAY SOMETHING BEAUTIFUL TO THE WORLD.
(IT CAN BE IN YOUR OWN SECRET LANGUAGE OR CODE)

ქუჩის ცხოველების და ფრინველების დაპურება მნიშვნელოვანი საქმეა, ამ კომიქსის შექმნით ბავშვები გახალისდებიან, თან დაფიქრდებიან როგორ გამოკვებონ ისინი, დაფიქრდებიან რას გრძნობენ მშიერი ფრინველები. ფიქრის ღრუბლებში უნდა ჩაწერონ რას ფიქრობს სკამზე მჯდომი ქალბატონი? რას ფიქრობენ ჩიტები? ამ დავალებას მნიშვენლოვანია მიებას მსჯელობა რომ ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანები არ ვარსებობთ, რომ სხვა არსებებსაც სჭირდებათ ზრუნვა და დახმარება.



წარმოიდგინე რომ დაგესიზმრა ჯადოსნური ადგილი, როგორ გამოიყურება ის? დახატე! ამ დავალების შესრულება მნიშვნელოვანი საქმეა, ჩვენ გავგებთ ჩვენი მოსწავლეების ოცნებებს, გავიგებთ თუ როგორია მათთვის ყველაზე, ყველაზე მშვენიერი და ჯადოსნური ადგილი. შესაძლოა ვიღაცისთვის სოფელი აღმოჩნდეს, ვიღაცისთვის კი საკუთარი სახლი. მასწავლებელი ამ აქტივობით უფრო უკეთ გაიცნობს ბავშვებს, თან მათ წარმოსახვის განვითარებას შეუწყობს ხელს. მუშაობის დასრულების შემდეგ საკლასო ოთახში გამოფენა

და ნამუშევრების გაზიარებაც ძალიან კარგია, კლასელები ერთმანეთის შესახბ ძალიან საინტერესო ინფორმაციას გაიგებენ, შესაძლოა მათ მეგობრობის გამტკიცებასაც შევუწყოთ ხელი.

წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებისთვის ძალიან კარგია ქვემოთ მოცემული დავალებები: რას ყიდის კაცი ქუჩაში და რას ხედავს ბიჭი ავტობუსის/მატარებლის

ფანჯრიდან. ბავშვები თავისუფლები არიან, ხატავენ და ფიქრობენ, მათი წარმოსახვა და ფანტაზია უსასრულოა...



რა არის ბედნიერება? როგორია ჩემი ბედნიერების რეცეპტი, შექმენი შენით! ფანტაზიასთან ერთად აქ აქტიურდება ისეთი აბსტრაქტული ცნების, როგორიც ბედნიერებაა - გააზრების პროცესი. რა ინგრედიანტები გვჭირდება ბედნიერებისთვის? საბოლოოდ რა არის ბედნიერება? სანამ ამ კონკრეტულ დავალებას მივცემთ ბავშვებს, სასურველია კლასში მოვაწყოთ მსჯელობა ბედნიერების შესახებ, ვის როგორ წარმოუდგენია ის, კარგი იქნება არ შევზღუდოთ და ვაგრძნობინოთ რომ მათ შეუძლიათ თავისუფლად ისაუბრონ, დახატონ. შეგვიძლია ბედნიერება კერძის სახიტაც წარმოვადგენინოთ. მაგალითად ჩემთვის ბედნიერება ყველიან მაკარონს წააგავს, მაკარონი - ჩემი ოჯახია, ყველი -მათი ჯანმრთელობა, რძის სოუსი - მოგზაურობა, ხოლო მარილი - ერთად გატარებული დღესასწაულები. მოკლედ, მივცეთ ფანტაზიას თავისუფლება!

ცოტა ჯადოქრობაც არ გვაწყენდა. თქვენს წინაშე ჯადოქრის ბურთია, წარმოიდგინე რომ შეგიძლია დაინახო მომავალი ასი წლის შემდეგ, როგორ გამოიყურება ის? დახატე!

დარწმუნებული ვარ ძალიან, ძალიან საინტერესო ნამუშევრებს შეაგროვებთ და საკლასო ოთახს ამ ნამუშევრებით შესანიშნავად გააფორმებთ, შეგიძლიათ საერთოდაც მომავლის კუთხე შექმნათ. ამ აქტივობისთვის ძალიან საინტერესო ანიმაციას გთავაზობთ:

wall.e

Astro boy

Robots

ფილმები რობოტებზე



From Bill Zimmerman's book, Pocket Doodles for Kids. Drawings by Tom Bloom. Published by Gibbs Smith.

რას აჩვენებს დედა თავის შვილს ფანჯრიდან? დაუკვირდი მათ ემოციებს და დახატე ის, რაც დედა-შვილმა დაინახა. მგონი ძალიან საინტერესოა.

მოკლედ, ნუ დაგენანებათ დრო და ენერგია, მსგავსი დავალებების შეთავაზება მოსწავლეებისთვის ძალიან სახალისო და სასიამოვნო პროცესია, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ძალიან საჭირო და სასარგებლო. ჰოდა, მოდი ვცადოთ, ჩვენც დავხუჭოთ თვალები და წარმოვიდგინოთ, ნეტავ, რას დახატავენ ჩვენი მოსწავლეები?

ინა იმედაშვილი